ჩემპიონატი

პირველი ორი ქულა

27 აპრილს, ლ. პ. ბერიას სახელობის სტადიონზე **სტალინოს "სტახანოვეცთან"** პირველი კალენდარული მატჩით, **თბილისის დინამოელებმა** დაიწყეს ბრძოლა სსრ კავშირის 1941 წლის ჩემპიონის საპატიო სახელის წოდებისათვის.

თბილისის დინამოელთა ბრძოლიდან, რაც პირველ რიგში თვალში მოხვდებოდა მაყურებელს ეს იყო შეუწყობელი, არაკოლექტიური თამაში და სუსტი დარტყმა კარში. კერძოდ ეს ითქმის თავდამსხმელთა ხუთულზე გავაშელის გამოკლებით. სუსტი იყვნენ აგრეთვე დამცველებიც – პეხლევანიდი, ბერძენიშვილი და ფროლოვი. მოწოდების სიმაღლეზე იდგნენ მხოლოდ მეკარე ტყებუჩავა, ჯორბენაძე და კიკნაძე.

განუწყვეტელი იერიშების შემდეგ თბილისელები ახერხებენ პირველი ბურთის გატანას. მე–19 წუთზე ხარბედიას მიერ მოწოდებული ბურთი გააქვს გავაშელს.

პირველი ტაიმი დამთავრდა თბილისელთა სასარგებლოდ, ანგარიშით – 1:0.

შეჯიბრების მეორე ნახევარში სტუმრები მონდომებით იბრძვიან. შესამჩნევად გამოასწორეს პირველ ტაიმში დაშვებული ტაქტიკური შეცდომები. შუამარბი დომბაზოვი ახერხებს გვერდი აუაროს ფროლოვს, მათი ნახევარდამცველებიც თავგამოდებით იბრძვიან. იქმნება ისეთი შთაბეჭდილება თითქოს "სტახანოვეცმა" ანგარიში უნდა გაათანაბროს.

მატჩის ბედი გადაწყდა 24-ე წუთზე. პაიჭაძესა და პანიუკოვის კომბინაციით საჯარიმო მოედანზე მიტანილ ბურთს ვერ უშველა მეკარის სხარტმა ნახტომმა – პანიუკოვს გააქვს მეორე ბურთი. ერთი წუთის შემდეგ გავაშელი ატყუებს მარცხენა დამცველს, კარს გარეთ გამოსულ მეკარესაც კი და ბურთს აწვდის საჯარიმო მოედნის ცენტრისაკენ, ბერეჟნოი ადიდებს ანგარიშს.

პირველი კალენდარული მატჩი დამთავრდა თბილისის დინამოელთა გამარჯვებით – 3:0. მათ მოიპოვეს პირველი ორი ქულა.

ვ. გ–ლია.
"ახალგაზრდა კომუნისტი", 29 აპრილი, 1941 წ.